ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტის შესრულების შესახებ

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი შემოსულობების ნაწილში განისაზღვრა 6706.2 ათასი ლარით, ხოლო ფაქტიურად მიღებულია 6221.3 ათასი ლარის შემოსულობები, შემოსულობების ცხრა თვის გეგმა შესრულებულია 92.8 პროცენტით. 2017 წლის წლიური შემოსულობების გეგმა წლის განმავლობაში განხორციელებული ცვლილებების შემდეგ განისაზღვრა 13 711,4 ათასი ლარით, ცხრა თვის განმავლობაში განხორციელდა ცამეტი საბიუჯეტო ცვლილება რის შედეგადაც დამტკიცებული ბიჯეტი 6 387,1 ათასი ლარი შემოსულობების ნაწილში გაიზარდა 7 324,3 ათასი ლარით - სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერის ხარჯზე, ხოლო გადასხდელების ნაწილში გაიზარდა 8012,4 ათასი ლარით, მათ შორის 7324,3 ათასი ლარით კაპიტლური ტრანსფერით და 688,1 ათასი ლარით 2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი, საიდანაც 572,6 ათასი ლარი არის სახელმწიფო ფონდების ნაშთი და 115,5 ათასი ლარი საკუთარი სახსრების ნაშთი.

მუნიციპალიტეტმა საკუთარი შემოსულობების ცხრა თვის გეგმა შესრულდა 93,5 % -ით, გეგმა 4778,2 ათასი ლარი და ფაქტიური შესრულება 4470,0 ათასი, ლარი, (დან. N 1) მათ შორის:

გადასახადები მუნიციპალიტეტს დაგეგმილი 317,7 ათასი ლარიდან მიღებული აქვს 336,1 ათასი ლარი, მათ შორის საშემოსავლო გადასახადი 157,7 ათასი ლარი; საწარმოთა ქონების გადასახადი 177,8 ათასი ლარი და არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ქონების გადასახადი მხოლოდ 0,6 ათასი ლარი; გადასახადების ცხრა თვის გეგმა-შესრულება შეადგენს 137,1 %ს;

სხვა შემოსავლების ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 738,6 ათასი ლარით, ფაქტიურად კი მიღებულია 750,2 ათასი ლარის სხვა შემოსავლები და გეგმა შესრულებულია 101,6 % - ით; შეუსრულებელი დარჩა მხოლოდ ბუნებრივი რესურსების სარგებლობის მოსაკრებლისა და ჯარიმებიდან მისაღები შემოსავლების გეგმები, ბუნებრივი რესურსებიდან მისაღები დარჩა 8,1 ათასი ლარი, ხოლო ჯარიმებიდან 11,0 ათასი ლარი. აღსანიშნავია რომ გადაჭარბებით შესრულდა მიწის იჯარიდან მიღებული შემოსავლებისა და ადმინისტრაციული მოსაკრებლების გეგმები, მიწის იჯარიდან და მართვაში გადაცემიდან (უზურფრუქტი, ქირავნობა) დაგეგმილი 18,7 ათასი ლარის ნაცვლად მიღებულია 27,6 ათასი ლარი და ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული

ტერიტორიის დასუფთავებისათვის დაგეგმილი 14,9 ათასი ლარის ნაცვლად 28,8 ათასი ლარი; ამასთან მიღებულია დაუგეგმავად სანებართვო მოსაკრებელი 5,4 ათასი ლარი;

არაფინანსური აქტივების კლებიდან მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ცხრა თვეში მიღებულია 28,2 ათასი ლარი, აქედან 12,5 ათასი ლარი ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან (მ.შ. 1,4 ათ. ლარი არასაცხოვრებელი შენობები; 6,7 ათ. ლარი სატრანსპორტო საშუალებები; 4,3 ათ. ლარი ნედლეული და მასალები) და 15,7 ათასი ლარი მიწის გაყიდვიდან (მ.შ. მიწის გაყიდვიდან 15,4 ათასი ლარი და 0,3 ათ. ლარი)

გათანაბრებითი ტრანსფერი მუნიციპალიტეტის ცხრა თვეში დაგეგმილი 3721,9ათასი ლარიდან მიღებული აქვს 3 355,5 ათასი ლარი 90,2 %;

სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები ცხრა თვეში მიღებულია 1751,3 ათასი ლარი, აქედან მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად მიღებულია 103,5 ათასი ლარის ოდენობით, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებული გვაქვს 1527,0 ათასი ლარი და მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან 120,8 ათასი ლარი;

გარდა ზემოთ აღნიშნული შემოსულობებისა ხარჯების დაფინანსების წყაროდ მიმდინარე წლის ცხრა თვეში ასევე გამოყენებულია 2017 წლის პირველი იანვრისათვის არსებული სახსრების ნაშთიდან 559,7 ათასი ლარი.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ერთეულის 2017 წლის ცხრა თვის ბიუჯეტი ხარჯების ნაწილში განისაზღვრა 7265,9 ათასი ლარი, ფაქტიურად კი გაწეულია 6 661,0 ათასი ლარი, რაც გასული წლის შესაბამის პერიოდში გაწეულ ხარჯებზე 530,7 ათასი ლარით ნაკლებია, 2016 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტს გაწეული აქვს 7 191,7 ათასი ლარის ხარჯი. მიმდინარე წლის ცხრა თვის ხარჯები დაფინანსებულია 91,7 პროცენტით. **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების** ხარჯების დაფინანსებაზე დაგეგმილი 1602,4 ათასი ლარიდან გაწეულია 1565,3 ათასი ლარი, 97,7 %, მათ შორის:

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესანახი ხარჯები მიმდინარე წლის ცხრა თვეში განსაზღვრული 388,7 ათასი ლარიდან გაწეულია 375,6 ათასი ლარი და დაფინანსებულია 96,6 პროცენტით. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საკრებულომ გასწია 15,7 ათასი ლარით ნაკლები ხარჯი.

მუნიციპალიტეტის გამგეობის შესანახი ხარჯები დაგეგმილი 1213,7 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 1189,7 ათასი ლარი, დაფინანსებულია 98,0 პროცენტით და გასული წლის შესაბამის პერიდთან შედარებით ასევე შემცირებულია 56,6 ათასი ლარით.

2017 წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტს სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი იქნა 13,6 ათასი ლარი, აქედან სტიქიით დაზიანებული გზის გასაწმენდად 5,1 ათასი ლარი, სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდის აღსადგენად 5,8 ათასი ლარი, სტიქიით დაზიანებული წყლის სისტემის

სარეაბილიტაციოდ 1,2 ათასი ლარი და სოციალური უზრუნველყოფის ხარჯებისათვის 1,5 ათასი ლარი.

თავდაცვის ხარჯების დასაფინანსებლად დაგეგმილი 61,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 61,4 ათასი ლარი და დაფინანსებულია 99,5 პროცენტით, ამასთან თავდაცვის ხარჯები გასულ წელთან შედარებით შემცირებულია 12 ,5 ათასი ლარით. (2016 წლის ცხრა თვეში სამხდრო სამსახურის მიერ გაწეულია 73,9 ათასი ლარი) ხარჯების დასაფინანსებლად გამოყენებულია მიზნობრივი ტრანსფერი 52,5 ათასი ლარის და საკუთარი სახსრები 8,9 ათასი ლარის ოდენობით.

ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის ხარჯები 2017 წლის ცხრა თვეში დაგეგმილი 3188,6 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 2797.7 ათასი ლარით, 87.7 პროცენტით, ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ინფრასტრუქტურაზე გაწეულია 84.7 ათასი ლარით მეტი , (2016 წლის ცხრა თვეში ინფრასრუქტურას მოხმარდა 2713,0 ათასი ლარი)

აქედან:

1) საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაგეგმილი 2328,7 ათასი ლარიდან დახარჯულია 2019,9 ათასი ლარი, ე. ი. 86,7 პროცენტი, გასულ 2016 წელთან შედარებით საგზაო ინფრასტრუქტურაზე დახარჯულია 383,8 ათასი ლარით მეტი .(2016 წლის ცხრა თვეში საგზაო ინფრასტრუქტურას მოხმარდა 1636,1 ათასი ლარი), მათ შორის:

გზების მშენებლობა, რეკონსტრუქციის მოვლა–შენახვის ხარჯები დაგეგმილი 2263,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 1966,2 ათასი ლარი, 86,9 %, მ. შ. სახელმწიფო ფონდებიდან 1871,3 ათასი ლარი და საკ, სახსრებით 94,9 ათასი ლარი, გზების რეაბილიტაცია ხორციელდებოდა :

- **საქ. მთავრობის 2017 წლის N 480 განკარგულებით** რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ცხრა თვეში ათვისებული იქნა 1376,6 ათასი ლარი, აქედან 266,2 ათასი ლარი მიიმართა წყალაფორეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში, სოფელ ხონისა და სოფელ ლახუნდარის 1, 9 კმ. გზის მონაკვეთების მოსაბეტონებლად; 199,9 ათასი ლარი ხევის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ წაქვის 1,5 კმ გზის მონაკვეთის მოსაბეტონებლად; 240,3 ათასი ლარი ბორითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. მაქათუბნის 2 კმ. და სოფელ ვაშლევის პირველი უბნის ტაძართან მისასვლელი 0,88 კმ. გზების მონაკვეთების მოსაბეტონებლად; 59,9 ათასი ლარი ბაზალეთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფ. ღარიხევის გზის 300 მეტრი გზის რეაბილიტაციაზე; 131,4 ათასი ლარი სოფელ ვახანის ცენტრალური გზის რეაბილიტაციაზე; 101,5 ათასი ლარი ნებოძირის გზის რეაბილიტაციაზე; 172,9 ათასი ლარი სოფ. ლაშის იგორეთის საავტომობილო გზის რაეაბილიტაციაზე; 49,4 ათასი ლარი სოფელ ხიდარში სკოლასთან მისასვლელი გზის მობეტონებაზე; 39,3 ათასი ლარი სოფელ ვარძიაში პირველი უბნის 500 მ. გზის მობეტონებაზე; ჯერ-ჯერობით 5,5 ათასი ლარია

დახარჯული სოფელ გოლათუბნის ცენტარლური გზის 500 მ. მონაკვეთის რეაბილიტაციაზე და 110,3 ათასი ლარია დახარჯული სოფელ ვერტყვილის გზის მოსაბეტონებლად.

- **საქ. მთავრობის 2017 წლის N 693 განკარგულებით** მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან გამოყოფილი 384,0 ათასი ლარიდან სოფელ გოლათუბნის სასოფლო გზის მოსაბეტონებლად დახარჯულია 120,8 ათასი ლარი.
- **საქ. მთავრობის 2017 წლის N 1401 განკარგულებით** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ცხრა თვეში ათვისებულია 49,5 ათასი ლარი სოფელ ფარცხნალში აკადემიკოს ევგენი ხარაძის სახლამდე მისასვლელი 980 მ. გზის რეაბილიტაციაზე.
- **წინა წლების სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდების სახსრების ნაშთებიდან** გზების რეაბილიტაციაზე დახარჯულია 324,4 ათასი ლარი, მ. შ. სოფელ გედსამანიის ცენტრალური გზის რეაბილიტაციაზე 284,4 ათასი ლარი; გზის დამცავი კედლების მოწყობაზე 16,6 ათასი ლარი; სტიქიით დაზიანებული გზების მოხრეშვაზე 23,4 ათასი ლარი.
- **საკუთარი სახსრებით** გზების რეაბილიტაციაზე მუნიციპალიტეტმა გასწია 94,9 ათასი ლარის ხარჯი.

ხიდების და ბოგირების აშენება -რეაბილიტაციაზე ცხრა თვეში დაგეგმილი 58,4 ათასი ლარიდან დახარჯულია 47,0 ათასი ლარი, აქედან 19,0 ათასი ლარი სახელმწიფო ფონდების სახსრების ნაშთიდან და 28,0 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკუთარი სახსრებით, სახელმწიფო ბიჯეტის სახსრებით დასრულდა სტიქიით დაზიანებული სოფელ სერბაისისა და სოფელ ხიდრის ხიდების რეაბილიტაცია, სკუთარი სახსრებით სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა სოფელ მარელისის, სოფელ უბისის და სოფელ საბის ხიდებს.

მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფაზე მიმდინარე წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტმა გასწია 6,7 ათასი ლარის ხარჯი, მიკროავტობუსის დაქირავებაზე.

2) კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა–რეაბილიტაცია და ექსპლუატაციაზე გათვალისწინებული 619,5 ათასი ლარიდან დახარჯულია 590,4 ათასი ლარი, ე.ი. 95,3 პროცენტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით კომუნალურ მომსახურეობაზე გაწეულია 11,4 ათასი ლარით ნაკლები. 2016 წლის ცხრა თვეში კომუნალური ინფრასტრუქტურის დაფინანსებას მოხმარდა 579.0 ათასი ლარი;
სანიაღვრე არხების არხების მოწყობაზე გაწეულია 17,1 ათასი ლარი.

დასუფთავების ღონისძიებების სუბსიდირებაზე დაგეგმილი 441,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 436,7 ათასი ლარი, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 30,6 ათასი ლარით მეტი, გასული წლის ცხრა თვეში დასუფთავების სუბსიდირებაზე დახარჯულია 406,1 ათასი ლარი.

წყლის სისტემის რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 20,5 ათასი ლარიდან დაფინანსებულია 5,4 ათასი ლარის სამუშაოები საკუთარი სახსრებით.

გარე განათების სუბსიდირებაზე გაწეულია 126,9 ათასი ლარი და გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით შემცირებულია 32,6 ათასი ლარით (2016 წლის ცხრა თვეში გარე განათებაზე დაიხარჯა 159,5 ათასი ლარი) ხოლო ელექტრო გადამცემი ხაზების რეაბილიტაციაზე (დაერთება) დაიხარჯა 4,3 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით,

3) მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად მიმდინარე წლის ცხრა თვეში გამოყოფილი 155,8 ათასი ლარიდან ათვისებულია 137,1 ათასი ლარი, 88,0 %, რომელიც მთლიანად მოხმარდა პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას, გასულ წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დახარჯულია 36,4 ათასი ლარით ნაკლები (2016 წლის ცხრა თვეში პარკებისა და სკვერების სუბსიდირებას მოხმარდა 173,5 ათასი ლარი)

4) სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ პროექტებზე წინა წლების არსებული სახელმწიფო ფონდების ნაშთებიდან დახარჯულია 49,2 ათასი ლარი.

5) სოფლის მეურნეობის დაფინანსებაზე გაწეულია 1,1 ათასი ლარი.

განათლებაზე 2017 წლის ცხრა თვეში გათვალისწინებული 960,2 ათასი ლარიდან დახარჯულია 896,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 93,4 პროცენტით, გასული წლის ცხრა თვესთან შედარებით განათლებაზე დახარჯულია 154,8 ათასი ლარით ნაკლები, რადგან გასულ წელს ხუთი საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია მიმდინარეობდა წელს კი მხოლოდ ერთი ბაღის მშენებლობა რეაბილიტაცია ხდება.

სკოლამდელი განათლების დაფინასებაზე დაგეგმილი 683.8 ათასი ლარიდან ათვისებულია 653.6 ათასი ლარი, 96.6 %.

სკოლა–ინტერნატის სუბსიდირებაზე – დაიხარჯა 75.3 ათასი ლარი და მოსწავლე–ახალგაზრდობის სახლის სუბსიდირებაზე 71.5 ათასი ლარი;

ბაღების მშენებლობასა და რეაბილიტაციაზე დაგეგმილი 120.7 ათასი ლარიდან დახარჯულია 96.1 ათასი ლარი, ბაღების რეაბილიტაცია განხორციელდა 2017 წლის საქ. მთავრობის N 480 განკარგულებით და რეაბილიტაცია ჩაუტარდა ნადაბურის საბავშვო ბაღს 92,0 ათასი ლარის ოდენობით და 4,1 ათასი ლარი გადაირიცხა ბორითის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცის გასული წლის საგარანტიო თანხებიდან.

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებების ხარჯები დაგეგმილი 882,3 ათასი ლარიდან დახარჯულია 805,5 ათასი ლარი და დაფინანსებულია 91,3 პროცენტი, გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 344,6 ათასი ლარით ნაკლები, რადგან გასულ წელს

ფინანსდებოდა საფეხბურთო კლუბი ,,ჩხერიმალა -2009“ და შარშანდელთან შედარებით შემცირდა ამ პროფილის ა(ა)იპ-ების სუბსიდირების ხარჯები;

მიმდინარე წლის ცხრა თვეში სპორტის განვითარებაზე დახარჯულია 242,9 ათასი ლარი, საიდანაც სპორტული ღონისძიებების დაფინანსებაზე დახარჯულია 5,1 ათასი ლარი, სპორტული სკოლის (სპორტის განვითარებისა და მუნიციპალური მართვის ცენტრი) სუბსიდირებაზე 154,5 ათასი ლარი, ტურიზმის ცენტრის დაფინანსებაზე 83,3 ათასი ლარი და საფეხბურთო კლუბ ,,ჩხერიმელა –2009“ -ის დაფინანსება შეწყდა ადგილობრივი ბიუჯეტიდან.

კულტურის განვითარებაზე დაგეგმილი დახარჯულია 515,5 ათასი ლარი. აქედან:

სამუსიკო სკოლაზე დაიხარჯა 72,8 ათასი ლარი, ხალხური შემოქმედების სახლის სუბსიდირებაზე 22,5 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე 204,0 ათასი ლარი, ცენტრალური ბიბლიოთეკაზე 111,6 ათასი ლარი, ისტორიული მუზეუმის სუბსიდირებაზე 69,1 ათასი ლარი, ლიტერატურული თეატრის სუბსიდირებაზე 35,5 ათასი ლარი; ტელერადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობაზე 41,0 ათასი ლარი, ახალგაზრდული პროგრამების დაფინანსებაზე 6,1 ათასი ლარი და რელიგიაზე მიმდნარე წლის ცხრა თვეში ხარჯები არ გაწეულა.

მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვასა და სოციალურ უზრუნველყოფაზე

ცხრა თვეში დაგეგმილი 570,7 ათასი ლარიდან ათვისებულია 534,6 ათასი ლარი, 83,7 % , ამასთან გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით ხარჯები შემცირებულია 31,2 ათასი ლარით. 2016 წლის ცხრა თვეში აღნიშნულ პროგრამაზე დახარჯულია 565,8 ათასი ლარი.

საზოგადოებრივი ჯანდაცვაზე დახარჯულია 95,9 ათასი ლარი და სოციალურ პრგრამებზე დაგეგმილი 470,9 ათასი ლარიდან ათვისებულია 438,7 ათასი ლარი, აქედან უფასო სასადილოს სუბსიდირებაზე დახარჯულია 62,2 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი ოჯახების მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და სხვადასხვა სოციალური ფენის მოსახლეობის ერთჯერად დახმარებებზე 334,8 ათასი ლარი, ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახების დახმარებაზე 21,9 ათასი ლარი, სტიქიით დაზარალებული ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად 18,6 ათასი ლარი, ვეტერანთა და ლტოლვილთა დაკრძალვაზე 1,0 ათასი ლარი.

მიმდინარე წლის ცხრა თვეში მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ს დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის საფუძველზე განახორციელა სამი სახის სახელმწიფო შესყიდვა, საქონლის შესყიდვა, მომსახურების შესყიდვა და სამუშაოების შესრულების შესყიდვა. აღნიშნულის შესყიდვებისათვის, საანგარიშო პერიოდში განყოფილების მიერ მომზადებულია 161 (ასსამოცდაერთი) ხელშეკრულების პროექტი რომლებიც მუნიციპალიტეტის გამგეობამ გააფორმა მიმწოდებლებთან სხვადასხვა სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას. სხვადასხვა საქონლის, მომსახურებისა და სამუშაოების შესრულების შესყიდვისათვის, ჯამში გამოცხადებულია 87

ერთეტაპიანი გამარტივებული და ელექტრონული ტენდერი მათ შორის შემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 50-ს არშემდგარი ტენდერების რაოდენობა შეადგენს 28-ს და უარყოფითად დასრულებული ტენდერების რაოდენობა შეადგენს 5-ს. მუნიციპალიტეტის სახელით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ გაფორმებული ყველა ხელშეკრულება, ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 10 კალენდარული დღის ვადაში იტვირთება http://www.procurement.gov.ge/ სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში და ყველა ატვირთულ ხელშეკრულებაზე, ასევე იტვირთება პერიოდულად ხელშეკრულების საფუძველზე, ფაქტობრივად გადარიცხული თანხების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. მიღება-ჩაბარების აქტ(ებ)ი, ინსპექტირების ჯგუფის დასკვნა და არსებობის შემთხვევაში სხვა დოკუმენტაციები. მუნიციპალიტეტი სახელმწიფო შესყიდვების საგენტოს და კონსოლიდირებული ტენდერების სატენდერო კომისიას ყოველთვიურად წარუდგენს ანგარიშს **ctd.spa.ge** სისტემის საშუალებით.

ხარაგაულის მუნიციპალიტეტის მიერ 2017 წლის ცხრა თვეში გაწეული 6 661,0 ათასი ლარიდან 2140,9 ათასი ლარი გაწეულია სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი სახსრებით და 4520,1 ათასი ლარი საკუთარი სახსრებით. მთლიან ხარჯებში არაფინანსური აქტივების ზრდაზე გაწეულია 2148,1 ათასი ლარი, 32,2 %, მ. შ 1982,6 ათასი ლარი სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან და 165,5 ათასი ლარი საკუთარი სახსრებიდან; დარჩენილი 4507,7 ათასი ლარის ხარჯებიდან შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულია 1067,7 ათასი ლარი, მ.შ. 52,5 ათასი ლარი მიზნობრივი ტრანსფერის და 1015,2 საკუთარი სახსრების ხარჯზე, სულ - 23,7 %, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურებაზე 232,1 ათასი ლარი, 5,1 %; მივლინების ხარჯების ანაზღაურებაზე 6,9 ათასი ლარი, 0,2 %; საოფისე ხარჯების გაწევაზე 108,0 ათასი ლარი, 2,4 %; წარმომადგენლობითი ხარჯების ანაზღაურებაზე 11,2 ათასი ლარი, 0,2 %; სატრანსპორტო ხარჯების ანაზღაურებაზე 93,2 ათასი ლარი, 2,1 %; სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურებაზე 163,5 ათასი ლარი, 3,6 %; სუბსიდირებაზე 2432,0 ათასი ლარი, 53,9 %; მიმდინარე გრანტებზე 0,4 ათასი ლარი, სხვა ხარჯებზე 18,0 ათასი ლარი, 0,4 %, სოციალურ უზრუნველყოფაზე 374,7 ათასი ლარი, 8,3 % და ვალდებულებების კლებაზე 5,2 ათასი ლარი, 0,1 %.

გასული წლის ცხრა თვესთან მიმდინარე წლის ცხრა თვეში ხარჯები შემცირებულია 530,7 ათასი ლარით, აქედან შემცირებულია შრომის ანაზღაურების ხარჯები 163,8 ათასი ლარით, სუბსიდიები 270,3 ათასი ლარით, გრანტები 102,1 ათასი ლარით, სოციალური უზრუნველყოფის ხარჯები 21,8 ათასი ლარით; სხვა ხარჯები 68,9 ათასი ლარით, ვალდებულებეის კლება 4,7 ათასი ლარით.